ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №17

ქ. თბილისი **28.09.2016**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი, სხდომის თავმჯდომარე;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი, სხდომის მდივანი;
ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;
ქეთევან ჭკუასელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
გიორგი მელიქაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
მარიამ შოშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
მამუკა მესხიშვილი - დირექტორი;
ლელა ფიცხელაური - დირექტორის მოადგილე;
დიანა ქანთარია - ხარისხის მართვის მენეჯერი.

შპს ლაშარის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
ჯენერი არქანია - დირექტორი.

შპს თბილისის მწვანე სკოლის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
კახა დავითური - დირექტორი;
ნანა ქაჯაია - დირექტორის მოადგილე;
ელისო ნაჟარაძე - დირექტორის მოადგილე.

შპს ლილეს წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
თამარ ნათენაძე - დირექტორი.

შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა რეცას წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
დავით ბაბულეიშვილი - დირექტორის მინდობილი პირი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):
ნინო ფეტვიაშვილი;
მაკა ტუკვაძე;
დიმიტრი პოპოვი;
ნინო ბალანჩივაძე;
ციალა გაგნიძე;
ნოდარ ანგურიძე;
ქეთევან ჯანუაშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:50 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ. ამავე ნორმის თანახმად, სხდომის მდივნის მოვალეობა შეასრულა გიორგი გიგიბერიამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ლაშარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის მწვანე სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ლილეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა რეცას ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ფეტვიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში უკვე მესამედ იმყოფებოდა, ის შედიოდა წინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაშიც და შემდეგ სააკრედიტაციო წარმოების დროს ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაშიც. მისი განმარტებით, დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ძველი რეკომენდაციები და სწორი გზით განაგრძობდა სვლას. განვითარების კუთხით თვალშისაცემი იყო ბევრი ნიუანსი, მათ შორის ინფრასტრუქტურა და მატერიალური ბაზა, რომელიც იყო განახლებული და გამრავალფეროვნებული. სკოლამ დიამატა ფართი, გაკეთდა ახალი კალათბურთისა და ჩოგბურთის მოედნები. სასწავლო რესურსებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მოსწავლეზე იყო ორიენტირებული, გაკვეთილებზე სისტემატურად გამოიყენებოდა თანამედროვე ციფრული რესურსები. სკოლის სასწავლო გარემო ხელს უწყობდა მოსწავლეებში შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. აღსანიშნავი იყო ასევე, სკოლის ხარისხის მართვის სამსახურის ეფექტური მუშაობა, რომელიც არა მხოლოდ დოკუმენტურად დასტურდებოდა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით, გასულ სასწავლო წელს ჩატარებული შემაჯამებელი სამუშაოების რიცხვი აღემატებოდა გასული სასწავლო წლის სასკოლო გეგმით გათვალისწინებულ შემაჯამებელ სამუშაოთა რაოდენობას. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამებელი სამუშაოების რაოდენობა ემთხვეოდეს რეალურად ჩატარებულ შემაჯამებელ სამუშაოთა რაოდენობას. ასევე, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მოსწავლეთა პირადი საქმეების გადამოწმების საფუძველზე, რამდენიმე მათგანში აღმოჩნდა მოსწავლის ორიგინალი დაბადების მოწმობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კომპეტენტური შეფასებისათვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ ორივე რეკომენდაციას და უკვე მოხდა მათი გათვალისიწინება.

სხდომის თავმჯდომარე, რევაზ აფხაზავა დაინტერესდა თუ რამდენი პედაგოგი ასწავლიდა სკოლაში და როგორი იყო მათი სტატუსი.

ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა 92 პედაგოგი, რომელთაგან 57 იყო უფროსი მასწავლებელი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლეს კითხვით მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად დაწესებულებაში ირიცხებოდა 859 მოსწავლე და მათი სურვილი იყო მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 1110 მოსწავლით. ექსპერტმა დაადასტურა, ამ რაოდენობის მოსწავლისათვის დაწესებულების მზაობა ზოგადსაგანმანათლებლო მომსახურების გაწევის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1110-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლას (ს/კ: 202937983) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1110-ით.

2. შპს ლაშარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაკა ტუკვაძემ და ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, დიმიტრი პოპოვმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ მიმდინარე სასწავლო წლიდან, პირველიდან მესამე კლასის ჩათვლით კლასების დღის რეჟიმში მოხდა ცვლილება და მესამე გაკვეთილის შემდეგ ერთი გაკვეთილი ეთმობოდა ,,კვება-რელაქსაციას". აღნიშნული დადებითად შეფასდა ექსპერტთა მიერ. დაწესბულებაში ირიცხებოდა ორი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. სკოლაში შექმნილი იყო მათთვის ადაპტირებული გარემო. დოკუმენტურად და გასაუბრებითაც დასტურდებოდა, რომ სკოლას ინდივიდუალური მიდგომა ჰქონდა შემუშავებული თითოეულ მათგანთან.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პროცესში სკოლამ წარმოადგინა ახალი შინაგანაწესი და სკოლის დებულება. შინაგანაწესში შესული იყო ცვლილება, კერძოდ, გაუქმდა ის მუხლი რომლის საფუძველზეც ფინანასური სანქციები ეკისრებოდა მოსწავლეს შემაჯამაბელი დავალების არასაპატიო მიზეზით გაცდენისათვის და კლასის დამრიგებელს, თუ ის არ მოახდენდა რეაგირებას მოსწავლის გაცდენა/დაგვიანებაზე. დაწესეულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული რეგულაცია არ იყო ქმედითი.

ექსპერტის განმარტებით, მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ ისინი არ იყვნენ ინფორმირებულები არჩევით საგნებთან დაკავშირებით, არც სავარაუდო საგნების ჩამონათვალი შემოუთავზებია სკოლას მათთვის, მხოლოდ პირდაპირ შეირჩა გერმანული ენა. სასკოლო სასწავლო გეგმაში იყო აღწერილი შემაჯამებელი დავალებების სხვადასხვა ტიპები და მოყვანილი იყო შესაბამისი შეფასების რუბრიკები, თუმცა რუბრიკების ნაწილში ქულების განაწილების სისტემა ინდიკატორების მიხედვით იყო შეცდომით დაფიქსირებული. რაც შეეხებეოდა შემაჯამებლების რაოდენობას, სკოლაში გაზრდილი იყო მათი საერთო რაოდენობა კლასების მიხედვით ესგ-სთან შედარებით. შემაჯამებლების გადამოწმებამ ასევე აჩვენა, რომ მე-5 და მე-6 კლასებში არ მომხდარა ისტ სტანდარტის სრულად დაფარვა სკოლის მიერ შემცირებული საათების გამო. ასევე დარღვევას წარმოადგენდა ტესტები, რომლებიც ტარდებოდა სკოლაში დაწყებით საფეხურზე ,,სემესტრის შემაჯამებელი წერის" წარწერით და უშუალოდ ტესტებში თითოეულ საკითხს მიწერილი ჰქონდა ქულა. დაწყებითი პედაგოგების პორტფოლიოებში იდო შეფასების სქემები, რომლებიც გაწერილი იყო განმსაზღველი შეფასების კრიტერიუმებით.

ექსპერტის განცხადებით, მატერიალურ რესურსთან მიმართებით არ დაფიქსირებული ხარვეზი. თუმცა მან აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკაში, რომელიც ასევე გამოიყენებოდა როგორც კომპიუტერული ლაბორატორია, არ იყო ბუნებრივი განათება. ბიბლიოთეკარი კვალიფიკაციით იყო ექიმი, თუმცა გავლილი ჰქონდა ორ კვირიანი სასწავლო კურსები, რაც დასტურდებოდა შესაბამისი სერტიფიკატით. ბიბლიოთეკარი ასევე ითავსებდა ექიმის ფუნქციასაც.

სკოლას ჰყავდა 31 პედაგოგი, რომელთაგან 25 ჩართული იყო მასწავლებელეთა პროფესიული განვითარების და წინსვლის სქემაში. 13 პედაგოგს ჰქონდა მოპოვებული

უფროსი მასწავლებლის სტატუსი. რაც შეეხებოდა მასწავლებელთა კვალიფიკაციას, გარდა სპორტისა და ჭადრაკის მასწავლებლისა, ყველა სხვა პედაგოგის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა მათ მიერ დაკავებულ პედაგოგის სტატუსს.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო სკოლისათვის. თითოეული მათგანი გათვალისწინებული იქნებოდა სკოლის ადმინისტრაციული თანამშრომლებისა და პედაგოგების მიერ. შეფასების რუბრიკებში გამოსწორებულ იქნა ინდიკატორების მიხედვით ქულების განაწილების სისტემა. შემაჯამებლების რაოდენობა შესაბამისობაში მოვა ესგ-ს მოთხოვნებთან. ასევე, მეტი ყურადღება მიექცევა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების ანალიზს. ამასთან, მოხდება ესგ-ით განსაზღვრული ისტ-ის სტანდარტის ზედმიწევნით დაცვა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა ამჟამად დაწესებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად დაწესებულებაში სწავლობდა 168 მოსწავლე და დღეის მდგომარეობით ისინი გამოხატავდნენ მზაობას 200 მოსწავლით განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლაშარისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ლაშარს (ს/კ: 209454142) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

3. შპს თბილისის მწვანე სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ბალანჩივაძემ და ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ციალა გაგნიძემ. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლა აკმაყოფილებდა სამივე სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და შენიშვნები არ დაფიქსირებულა, თუმცაღა სკოლის წარმომადგენლებს მიეცა რამოდენიმე რეკომენდაცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა არ იყო ბევრი ინფორმაციის მომცველი, თუმცა პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი საკმაოდ კარგად მუშაობდნენ. სკოლაში მოსწავლეები სწავლობდნენ ყველა იმ საგანს რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით იყო გათვალისიწინებული. ამავდორულად, დამატებითი გაკვეთილების სახით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა თითქმის ყველა საგნის გაძლიერებულად სწავლას. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ კარგი იქნებოდა თუ დამატებით მომსახურებას მხოლოდ საგაკვეთილო სახე არ ექნებოდა, რადგან გაკვეთილები თავის მხრივ დამღლელი იყო. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით არ იყო განსაზღვრული სპორტის რომელ სახეობებს სთავაზობდა სკოლა მოსწავლეებს. სკოლის საათობრივ ბადეში ფიქსირდებოდა სპორტის მხოლოდ ერთი სახეობა - ჩოგბურთი. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საბაზო- საშუალო საფეხურზე სკოლა ატარებდა: კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთისა და ჩოგბურთის გაკვეთილებს. სკოლის ვიზუალურად დათვალიერებისას დასტურდებოდა, რომ სკოლას ჰქონდა ზემოაღნიშნული სპორტის სახეობების გაკვეთილების თავისუფლად ჩატარების მატერიალური ბაზა. აქედან გამომდინარე, სკოლას მიეცა რეკომენდაცია სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანის თაობაზე სპორტის სახეობების შერჩევის შესახებ. სკოლის ადმინისტრაციას მიეცა ასევე რეკომენდაცია, იმის თაობაზე რომ კათედრებს ყურადღება გაემახვილებინათ საგნობრივი სტანდარტების ინდიკატორების ამოქმედების მექანიზმებზე შემაჯამებელი დავალებების განსაზღვრის დროს. ამასთან, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სასკოლო სასწავლო გეგმაში წლიური გამოცდების შესახებ მოსწავლეთა ინფორმირებასთან დაკავშირებით ცვლილების შეტანის თაობაზე. სკოლაში სწავლობდა სამი განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელთათვისაც გაწერილი იყო ინდივიდულაური სასწავლო გეგმა სხვადასხვა საგანში. დაწესებულებაში იყო 52 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილი იყო 1173 მერხითა და 1123 სკამით. სკოლას ჰყავდა 92 პედაგოგი, აქედან 27 იყო უფროსი მასწავლებელი, ხოლო 63 პრაქტიკოსი მასწავლებელი.

საბჭოს წევრი, გიორგი გიგიბერია დაინტერესდა თუ რამდენი პირველკლასელი მიიღო სკოლამ მიმდინარე სასწავლო წელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს 6 პარალელი ჰყავდათ პირველ კლასში. დაწესებულების სურვილი იყო, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდნეობა განესაზღვრა საბჭოს 1176 მოსწავლით. ექსპერტმა განმრტა, რომ თუ საბჭო დაწესებულებას სკამების საერთო რაოდენობაში ჩაუთვლიდა ასევ რბილ საოფისე სკამებსაც, მას ექნებოდა 1176

მოსწავლისათვის საკმარისი მერხი და საკმი. საბჭოს გადაწყვეტილებით, საოფისე ტიპის რბილი სკამები განისაზღვრა უფროს კლასელებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის მწვანე სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1176-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის მწვანე სკოლას (ს/კ: 401959528) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1176-ით.

4. შპს ლილეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ანგურიძემ.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების მიერ ცენტრში გადმოგზავნილი სასწავლო გეგმა შეიცავდა გარკვეულ ხარვეზებს, კერძოდ, 2015-16 წლის სასწავლო გეგმის შეფასების სისტემა მოიაზრებდა წლიურ გამოცდას სამ კლასში, თითოეულში 4 საგანში. აღნიშნული ფაქტის განხორციელება გადმოწმდა საკლასო ჟურნალებში და დადგინდა, რომ ჟურნალებში შესაბამისი საგნის, წლიური გამოცდის შესაბამის ველში მართლაც ფიქსირდებოდა საგნის წლიური გამოცდის ნიშანი და მის საფუძველზე გამოყვანილი საბოლოო შეფასება. წლიური გამოცდების ჩატარება გათვალისწინებული იყო 2016-17 სასწავლო წლების სასკოლო გეგმაშიც, რომელშიც გამოსწორებული იყო აღნიშნული ხარვეზი და თითოეულ კლასში გათვალისწინებული იყო ორი გამოცდა. სკოლის მიერ ცენტრში გადმოგზავნილი მასალებიდან ირკვეოდა, რომ გასულ 2015-16 სასწავლო წელს სკოლა დაწყებითი საფეხურის კლასებში ატარებდა შემაჯამებელ ტესტირებებს და შეფასებები გაკეთებული იყო ქულების საშუალებით. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნული ფაქტი განმარტეს იმით, რომ მშობლები ითხოვდნენ მოსწავლეთა შეფასებას ქულებით, რის გამოც სკოლა დაეთანხმა მშობლების მოთხოვნას და ჩათვალა, რომ ეს ფაქტი მოსწავლეებში გაზრდიდა მოტივაციას. ეს შეფასებები არ ფიქსირდებოდა ჟურნალებში და არ ჰქონდა ოფიციალური სტატუსი. თუმცა წლის ბოლოს დირექტორის ბრძანებით გაუქმდა პირველ-მესამე კლასებში შემაჯამებელი დავალებების ნიშნებით შეფასება და ეს დასტურდებოდა საკლასო ჟურნალებითა და მშობლებთან ინტერვიურებით.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ირიცხებოდა 179 მოსწავლე, რომელსაც ასწავლიდა 23 პედაგოგი. 23 პედაგოგიდან 15 იყო პრაქტიკოსი მასწავლებელი, ხოლო 7 უფროსი მასწავლებელი. სკოლის ერთი პედაგოგი არ იყო ჩართული სქემაში, რომელიც ახალი მიღებული იყო სკოლაში ღია კონკურსის საფუძველზე, აღნიშნულ პედაგოგს უდასტურდებოდა 11 წლიანი პედაგოგად მუშაობის გამოცდიელბა. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლას უკვე გაგზავნლი ჰქონდა მოთხოვნა მისი სქემაშო ჩართვის თაობაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ სკოლა მუდმივად განვითარების პროცესში იყო და გათვალისწინებული იქნებოდა პრაქტიკაში ექსპერტთა მიერ დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები. ამჟამად სკოლაში სწავლობდა 180 მოსწავლე და ისინი გამოხატავდნენ მზაობას 260 მოსწავლისათვის გაეწიათ ზოგადსაგანმანათლებლო მომსახურება. სკოლას ჰყავდა კვალიფიციური და გამოცდილი პედაგოგები, ამასთან, მატერიალური რესურსიც ახალი განახლებული იყო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლილესთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 260-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ლილეს (ს/კ: 209440728) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 260-ით.

5. შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა რეცას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტის განმრტებით, სასკოლო სასწავლო გეგმის სარჩევით ერთ-ერთ პუნქტად განსაზღვრული იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი მომსახურება, მაგრამ სასკოლო გეგმაში ასეთი მომსახურების აღწერა არ იყო მოცემული. მიუხედავად ამისა, საათობრივ ბადეში გათვალისწინებული იყო რუსული ენის მესამე კლასიდან სწავლება და პირველ და მეორე კლასში დამატებული იყო კითხვის საათი. გარდა ამისა, სკოლა დამატებითი მომსახურების სახით, მოსწავლეებთან ახორციელებდა ეროვნული გამოცდებით გათვალისიწნებული ჩასაბარებელი საგნების დამატებით სწავლებას. აღნიშნულს ადასტურებდნენ მშობლები და მასწავლებლებიც გასაუბრებისას, თუმცა ამის თაობაზე არ იყო ჩანაწერი გაკეთებული სკოლის სასწავლო გეგმაში. სკოლის პედაგოგებს მიეცათ ასევე რეკომენდაცია შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმასთან მიმართებით. ამასთან, რეკომენდაცია მიიღო სკოლამ შეფასების სისტემასტან დაკავშირებითაც, განსაკუთრებით პირველ-მეოთხე კლასებთან მიმართებით. დაწესებულებაში ვიზიტის დროს არ ფუნქციონირებდა სკოლის ვებ გვერდი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ახალ პროვაიდერზე გადასვლასთან დაკავშირებით ფიქსირდებოდა გარკვეული ხარვეზი, რაც მალე მოგვარდებოდა. მართვის საინფორმაციო სისტემის მიხედვით სკოლაში ირიცხებოდა 324 მოსწავლე. სკოლას ჰყავდა 50 პედაგოგი, რომელთაგან 32 იყო პრაქტიკოსი, 9 უფროსი მასწავლებელი, ხოლო 9 პედაგოგი არ იყო სქემაში ჩართული, სხვადსხვა მიზეზის გამო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლა იზიარებდა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებსა და შემუშავებულ რეკომენდაციებს. მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული ჰქონდა 460 მოსწავლე და დაწესებულების სურვილი იყო იგივე რაოდენობა გაეთვალისწინებინა საბჭოს ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა რეცასთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 460-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა რეცას (ს/კ: 216305200) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 460-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 16:50 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
გიორგი გიგიბერია